261 3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
26 მარტი
1940 წ.
№ 70 (5771)
ფასი 10 კაპ.

ციტრუსოვანთა ჯანსაღი ნერგისა და ნარგავისათვის

ორდენოსანმა საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც მტკიცედ ახორციელებენ ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს, თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს ციტრუსოვან კულტურათა განვითარების საქმეში. ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე, შეაჯამა რა ამ მხრივ ჩატარებული მუშაობის შედეგები, მთელი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების წინაშე დასახა ამოცანა „უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მივაღწიოთ ციტრუსოვანთა ფართობის ერთიორად და კიდევ მეტად გადიდებას და მოსავლიანობის ისეთი მასშტაბით ზრდას, რომ უახლოეს წლებში მივცეთ საბჭოთა კავშირს ციტრუსოვანთა ნაყოფი არა ასეულ მილიონობით—ეს ძალიან ცოტაა, არამედ მილიარდობით“.

პარტია, მთავრობა და პირადად დიდი სტალინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვან კულტურათა განვითარებას. ამის ნათელ დოკუმენტს წარმოადგენს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის ცნობილი დადგენილება „შავი ზღვის სანაპიროზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობების გადიდების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“. ეს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს 1940 წლის დამლევისათვის საქართველოში ციტრუსების ფართობის 20.000 ჰექტარამდე აყვანას, გახდა ციტრუსოვანთა მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საფუძველი. საკმარისია ითქვას, რომ ამ დადგენილების შემდეგ ციტრუსოვანთა პლანტაციების საერთო ფართობი 3.280 ჰექტარიდან 17.122 ჰექტარამდე გაიზარდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ჩვენში ოთხჯერ და კიდევ მეტი ციტრუსი გაშენდა, ვიდრე მისი შემოტანის დღიდან 1936 წლამდე. ეს ბრწყინვალე წარმატებანი მოპოვებულია ქართველი ხალხის სამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით.

დავალება 1940 წლის ამ მხრივ კიდევ უფრო სერიოზულია. 1940 წელს საქართველოში სულ 6.500 ჰექტარზე მეტი ციტრუსი უნდა გაშენდეს, მათ შორის 4.000 ჰექტარზე მარტო ლიმონი. ამ გეგმის სასახელოდ შესრულებისათვის ჩვენ ყოველგვარი პირობა მოგვეპოვება. საჭიროა მხოლოდ ოპერატიული მუშაობა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენება, მთელი მუშა-ხელის მოფიქრებულად გამოყენება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ურყევად გატარება, სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ისეთი მასშტაბით გაშლა, რომ მან მოიცვას მეურნეობის ყველა უბანი, ყველა ბრიგადა, რგოლი, თითოეული კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სანერგე მასალის სწორად გამოყენება. უნდა ვიბრძოლოთ ჯანსაღი ნერგისა და ნარგავისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის დადგენილების შემდეგ დასავლეთ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს და გააფართოვეს სანერგე მეურნეობები, რომლებიც ამჟამად ციტრუსოვან კულტურათა შემდგომი განვითარების ძირითად ბაზას წარმოადგენენ.

უნდა ითქვას, რომ გასულ წელს ზოგიერთ რაიონში სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სანერგე მასალის გულდასმით შერჩევას და გამოყენებას. მაგალითად, სამტრედიის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში იმის გამო, რომ ციტრუსების ნერგები მეზობელი რაიონებიდან უწესოდ იქნა გადმოტანილი და დარგული, ახალნაშენი პლანტაციები სანახევროდ გახმა. შემდეგ საჭირო გახდა ამ პლანტაციების ხელმეორედ გაშენება, რაზედაც ზედმეტი შრომა და ხარჯი იქნა გაწეული. აფხაზეთის კოლმეურნეობებისათვის გაგზავნილი მანდარინის და ლიმონის ნერგი რკინიგზის სადგურებზე რამდენიმე დღე უპატრონოდ იყო მიტოვებული, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ნერგების გახარებაზე. ეს მაგალითები მეტ-ნაკლებად ახასიათებდა სხვა რაიონებსაც.

წელს ჩვენ მოგვიხდება დიდი რაოდენობით ციტრუსების ნერგების გადატანა არა მარტო რაიონის შიგნით — კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეობებში, არამედ ამასთან ერთად რაიონიდან რაიონშიც. მაგალითად, ვანის, აბაშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქობულეთის და სხვა რაიონებში მარტო მახარაძის რაიონიდან უნდა წაიღონ ლიმონისა და მანდარინის 359 ათასი ძირი ნერგი, თვით მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებმა კი ამავე რაიონის საბჭოთა მეურნეობებიდან —168 ათასი ძირი ლიმონი, სამტრედიის, წულუკიძის, ფოთის და ცხაკაიას რაიონებმა უნდა გაიტანონ ლანჩხუთის რაიონიდან 657.700 ძირი მანდარინის ნერგი. აჭარის ასსრ კოლმეურნეობები მეზობელ რაიონებზე გასცემენ მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის 905 ათას ძირ ნერგს. ნერგი დიდი რაოდენობით შეტანილ იქნება აფხაზეთშიც. საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მანდარინის ნერგი უნდა მიაწოდონ აგრეთვე კრასნოდარის მხარეს და მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკას.

ნერგების შერჩევა და მათი ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა მარტო ტექნიკური საქმე როდია, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება. იგი მოითხოვს მეტად სერიოზულ და დაკვირვებულ მუშაობას. ამ საქმის წარმატებით ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული ციტრუსების გაშენების გეგმის ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულება. ამიტომ ამ საქმეს ყველგან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ციტრუსოვანთა რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორებს, მიწგანის გამგეებს, მტს-ის დირექტორებს და უფროს აგრონომებს პირადად აქვთ დაკისრებული პასუხისმგებლობა ამ ოპერაციის სწორად ჩატარებისათვის.

ამჟამად ადგილებზე სანერგის გამგეები ორწლიან კურსებზე სწავლობენ ციტრუსების ნერგის შეფუთვის წესებს. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს საქმის უკეთ ორგანიზაციას, მაგრამ ამ მეტად პასუხსაგები სამუშაოს მარტო სანერგის გამგებზე მინდობა სწორი არ იქნება. ციტრუსების ნერგის შერჩევაზე, მიღებასა და შეფუთვაზე უნდა იმუშაონ გამოცდილმა პრაქტიკოსებმა და სპეციალისტებმა.

საჭიროა საქმის იმგვარად მოწყობა, რომ ნერგი რაც შეიძლება სწრაფად და დაუზიანებლად იქნას გადატანილი სანერგიდან გასაშენებელ ადგილამდე და დაირგოს ყველა დადგენილი წესის დაცვით, ნიადაგის მომზადების გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა, რასაც მთელ რიგ რაიონებში აქვს ადგილი, დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს. ციტრუსოვანთა ჯანსაღ ნერგს უნდა შევახვედროთ სანიმუშოდ მომზადებული ნიადაგი და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ შევქმნათ მანდარინის, ლიმონის და ფორთოხლის სანიმუშო ახალი პლანტაციები და ნაკვეთები.

უახლოეს დღეებში დაიწყება ციტრუსების მასობრივი რგვა. სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმონ ამ მხრივ თავიანთი მზადყოფნა და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ციტრუსების გაშენების გეგმის მთლიანად და მაღალხარისხოვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

ციტრუსოვანთა ჯანსაღი ნერგისა და ნარგავისათვის ბრძოლა თვითეული პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკის საპატიო ამოცანაა. ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას საფუძვლად უნდა დავუდოთ საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელთა ურყევად შესრულება კიდევ უფრო ააყვავებს და გაამდიდრებს ჩვენს მხარეს, კიდევ უფრო განამტკიცებს და წინ წასწევს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობას.

საბჭოთა რადიომაუწყებლობის 15 წლისთავი

საზეიმო სხდომა კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში

საბჭოთა რადიომაუწყებლობა თავის არსებობის 15 წელს აღნიშნავს. რადიომაუწყებლობის მუშაკები უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში ანგარიშს აბარებდნენ მილიონობით რადიომსმენელებს. შემოქმედებითი პატაკებით გამოდიოდნენ მიკროფონთან საუკეთესო მსახიობნი, ანსამბლები და კოლექტივები. 23 მარტს, საიუბილეო დეკადის უკანასკნელ დღეს, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში (მოსკოვი) შესდგა საზეიმო სხდომა. დარბაზი გაავსეს რადიოს უხუცესმა მუშაკებმა, გამომგონებლებმა, მეცნიერებმა, მსახიობებმა, კომპოზიტორებმა, მწერლებმა. რადიომოყვარულებმა. პრეზიდიუმში არიან: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვიშინსკი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. კრენკელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი-ქალი ამხ. იაბლოჩკინა, რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ამხ. გოლდენვეიზერი, აკადემიკოსი ამხ. კელერი, ორდენოსანი მწერლები ამხ. მარშაკი და ფედინი, დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები.

რადიომაუწყებლობის 15 წლისთავის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სრულიად-საკავშირო რადიოკომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ი. სტუკოვი.

საბჭოთა რადიომ გასული 15 წლის მანძილზე დიდ წარმატებებს მიაღწია. რადიომაუწყებლობისათვის გადადებული თანხები წლითიწლობით მატულობს. 1935 წელს ამ საქმეზე გადადებული იყო 62 მილიონი მანეთი, მიმდინარე წლის გეგმით კი გათვალისწინებულია 200 მილიონი მანეთის ასიგნება. წლითიწლობით უმჯობესდება პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია რადიოთი.

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ.

— ნება მომეცით,—სთქვა მან, — პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მივესალმო რადიოს მუშაკებს. 15 წელი მასობრივი მასშტაბით ორგანიზებული საბჭოთა რადიომაუწყებლობისა ამ საქმის საკმაოდ დიდი წარმატებებით აღინიშნა. რადიო ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ რადიო ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში შეიჭრა, ჩვენი ყოველდღიურობის, ადამიანთა ყოფაცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა.

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ხნის წინათ, 1921 წელს, ვლადიმერ ილიას-ძე, რომელსაც განუწყვეტლივ და მუდამ აინტერესებდა რადიოს განვითარება, მაშინ ახლად ჩასახული საქმის ხელმძღვანელთა წინაშე ასეთ კითხვებს აყენებდა: დღეში რამდენ სიტყვას გადასცემს ცენტრალური სადგური, რამდენ ვერსზე გადასცემს, არის თუ არა და რამდენია ისეთი აპარატი, რომელიც საშუალებას აძლევს ხალხს მოისმინოს ქუჩაში ან დარბაზში, თუ რას ლაპარაკობს მოსკოვი. და აი ერთმანეთს შეადარეთ ახლა ის, რაც იყო, და ის, რაც ჩვენ ამჟამად გვაქვს.

— რადიოკომიტეტის — ჯერ კიდევ ნორჩი დაწესებულების მუშაობაში უეჭველად არის მიღწევები და რაც მთავარია—არის კადრები, რომელთა დარაზმვაც მან შესძლო. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ დიქტორებითაც, სოლისტებითაც, მომღერალთა გუნდითაც, ორკესტრითაც და მათი ბრწყინვალე ხელმძღვანელობითაც. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალი ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. რადიო არის პროპაგანდისა და აგიტაციის უმნიშვნელოვანესი იარაღი, ადამიანთა კომუნისტური აღზრდის იარაღი, იარაღი განათლებისა ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. ამ მხრივ რადიო უახლოვდება კინოს. ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს რადიოს მუშაკებს. მათ წინაშე და რადიოკომიტეტის წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. ამ ამოცანათა შორის ძირითადია—იბრძოლონ მსოფლიო რადიოტექნიკის ყველა უკანასკნელი მიღწევის გამოყენებისათვის, გადააქციონ რადიო ისეთ მძლავრ ძალად, როგორიც იგი არ შეიძლება იყოს არცერთ სხვა ქვეყანაში, გარდა სოციალიზმის ქვეყნისა, სადაც მაღლა და ამაყად ფრიალებს ჩვენი ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილი დროშა.

სხდომაზე მისალმებით გამოვიდნენ: საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. კრენკელი, ორდენოსანი მწერალი ამხ. ფედინი, ორდენოსანი კომპოზიტორი ამხ. ხაჩატურიანი, აკადემიკოსი ამხ. კელერი და სტალინის სახელობის ავტოქარხნის წარმომადგენელი ამხ. ზახაროვი. შემდეგ გამოქვეყნდა სრულიად-საკავშირო რადიოკომიტეტის ბრძანება იმის შესახებ, რომ საიუბილეო ნიშნებით, სიგელებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოებულია სოლისტების, დიქტორების, რედაქტორების, ლიტერატურული მუშაკების, რეჟისორების, მუშების, მემონტაჟე ქალების დიდი ჯგუფი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმებანი ამხანაგი **სტალინისა** და ამხანაგი **მოლოტოვისადმი.**

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი საიუბილეო კონცერტი.

(საკდესი).

„წითელი ვარსკვლავისა“ და „წითელი დროშის“ ორდენებით დაჯილდოებულნი

მოსკოვი, 24 მარტი (**ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.**). როგორც უკვე ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 9.329 კაცი. დაჯილდოებულთა შორის არიან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები, საბჭოთა სამშობლოს მედგარი დამცველები.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებული არიან: კაპიტანი ვლადიმერ მაჩაიძე, პოლიტხელები ივანე სპირიდონის-ძე გოგიშვილი და საბა ნიკოლოზის-ძე გომელაური, უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ ილარიონის-ძე გაბუნია, ლეიტენანტები ივანე ალექსანდრეს-ძე ივანიძე და ი. ე. გვენეტაძე, წითელარმიელი კონსტანტინე სტეფანეს-ძე კუკულაძე, **„წითელი დროშის“** ორდენით—მაიორი კონსტანტინე გიორგის-ძე შიუკაშვილი, უფროსი ლეიტენანტი შალვა ანდრიას-ძე საჯაია და ლეიტენანტი შალვა სხირტლაძე.

სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი აღმავლობისათვის სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში

ამხ. ა. ა. ანდრეევის სიტყვა ნოვოსიბირსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1940 წლის 17 მარტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო, ამ დარბაზში თათბირზე შეკრებილი არიან მოწინავე ადამიანები, რომელნიც ნოვოსიბირსკის ოლქის სოფლის მეურნეობაში მუშაობენ. თათბირის თემაა სოფლის მეურნეობის საკითხები. მაგრამ ორატორების უმრავლესობამ გადაუხვია ამ საკითხებს და ილაპარაკა წითელი არმიის შესახებ. რით აიხსნება ეს? და სწორია თუ არა ეს გადახვევა გამოსვლებში? ვფიქრობ, რომ სწორია (ტაში). სწორია იმიტომ, რომ წითელი არმია განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ეს ისეთი ძალაა, რომელიც ყოველ დღეს და ყოველ საათს უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს უშიშროებას და ჩვენს სოციალისტურ მუშაობას. აი რატომ არის, რომ ხალხი, მისი ცალკეული წარმომადგენლები თავიანთი ყოველდღიური მუშაობის ყოველი საკითხის განხილვის დროს წითელ არმიაზე ლაპარაკობენ.

განსაკუთრებით ამ დღეებში ჩვენი ხალხის ფიქრები უდიდესი სიხარულითა და მადლობით არის მიპყრობილი წითელი არმიისაკენ, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვა ფინეთის ფრონტზე და უზრუნველჰყო სსრ კავშირის უშიშროება ჩვენი საზღვრის ერთერთ მეტად მნიშვნელოვან უბანზე (მქუხარე ტაში).

ახლა კი, ამხანაგებო, ნება მომეცით გადავიდე სოფლის მეურნეობის ზოგიერთ საკითხზე.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებამდე სულ რამდენიმე დღე დაგვრჩენია, და უნდა დავაჩქაროთ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება.

ყველა ცნობის მიხედვით, 1940 წელი მოსავლისათვის ხელსაყრელი იქნება. შემოდგომაზე და ზამთრის განმავლობაში მოსული ნალექების დიდი რაოდენობა კარგი მოსავლის მომასწავებელია. მაგრამ რაც უნდა ხელსაყრელი იყოს ეს ნიშნები, გამარჯვება მაინც თავისთავად არ მოვა, მაღალი მოსავალი უნდა მოვამზადოთ, იგი უნდა უზრუნველვყოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კარგი მუშაობით.

რამდენიმე სიტყვა სოფლის მეურნეობაში 1939 წელს მიღწეული შედეგების შესახებ.

ამ შედეგთა შორის ძირითადი ის არის, რომ ეს წელი საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობის შემდგომი განმტკიცების წელი იყო. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა იმით, რომ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების კოლმეურნეობებში გატარების შედეგად, ლიკვიდირებულია კოლმეურნეობათა ძირითადი ბაზის, მათი საზოგადოებრივი მიწის განიავება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ნორმებთან შედარებით საკარმიდამო მიწების გარდამეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც აზომვის დროს აღმოჩნდა, კვლავ დაუბრუნდა კოლმეურნეობებს და მიემატა მათ საზოგადოებრივ მიწებს. მაგრამ საქმე მარტო ეს არ არის. მთავარი ის არის, რომ ამ გადაწყვეტილებამ უზრუნველჰყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ შრომაში კოლმეურნეთა მონაწილეობის შემდგომი ზრდა. ცალკეული ოლქებისა და რაიონების ცნობებით, მკვეთრად შემცირდა გამომუშავებული შრომადღეების მცირე რაოდენობის მქონე კოლმეურნეთა რიცხვი და მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც შრომადღეები დიდი რაოდენობით აქვთ გამომუშავებული. მაგალითად, ნოვოსიბირსკის ოლქში და ალტაის მხარეში კოლმეურნეთა უდიდესმა რაოდენობამ 1939 წელს გამოიმუშავა 200 შრომადღე და მეტიც.

გადიდდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში. 1938 და 1939 წლებში ცხენების რაოდენობა გადიდდა 1.700.000 სულით; მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის რაოდენობა — 3.000.000 სულით; ცხვრებისა — 9.500.000 სულით; ღორებისა — 1.000.000 სულით. არასრული ცნობებით, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, 1940 წლის 1 იანვრისათვის უკვე მოწყობილია მეცხოველეობის 96.800 ახალი საკოლმეურნეო ფერმა, აქედან: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—29.900, მეღორეობისა — 25.400, მეცხვარეობისა — 41.500.

1939 წელი იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ახალ შესანიშნავ წარმატებათა წელი, ამასთან რეკორდების მნიშვნელოვანი რაოდენობა ციმბირელ კოლმეურნეებს ეკუთვნის.

1940 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება წინა წელთან შედარებით. 1939 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 16 ათასმა კოლმეურნეობამ, 293 მტს-მა და 761 საბჭოთა მეურნეობამ, ხოლო მონაწილეთა საერთო რაოდენობა 193 ათასს უდრიდა.

1940 წლისათვის, გამოფენის მთავარი კომიტეტის არასრული ცნობების მიხედვით, უკვე შემოსულია განცხადებანი, რომლებიც გამოფენის მონაწილეობის პირობებს აკმაყოფილებენ, 31 ათასი კოლმეურნეობისაგან, 818 მტს-ისაგან და 1.660 საბჭოთა მეურნეობისაგან, სულ კი უკვე შემოსულია განცხადებანი 431 ათასი კანდიდატისაგან. 1939 წელს ნოვოსიბირსკის ოლქიდან გამოფენის მონაწილე იყო 3.287, ხოლო 1940 წელს შემოტანილია განცხადება 7.202 კანდიდატის მიერ.

ამ შეფარდებიდან ვხედავთ, თუ რა მდიდარი იყო 1939 წელი სოფლის მეურნეობის დარგში იმ ახალი წარმატებებისა და ახალი რეკორდების უზრუნველყოფის მხრივ, რომლებიც მიღწეულია კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სწორი პოლიტიკისა და მუშაობის, შედეგად, სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო გლეხობისათვის ამხანაგ **სტალინის** მუდმივი მზრუნველობის შედეგად. (**მქუხარე ტაში**).

1939 წელი აგრეთვე იყო კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის წელი. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ 1939 წელს, მიუხედავად შედარებით არახელსაყრელი პირობებისა სსრ კავშირის მრავალი ოლქისათვის, მაგალითად, ვოლგისპირა და ცენტრალური ოლქებისათვის, რომლებიც გვალვამ დააზიანა, მიღებულია მარცვლეული კულტურების უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე 1938 წელს.

და მაინც, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიუხედავად, ძირითად ამოცანად მომავალშიც რჩება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება სოფლის მეურნეობაში.

I. სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ

მართალია ის, რომ შრომა კოლმეურნეობებში, გლეხურ ერთპიროვნულ მეურნეობასთან შედარებით, გაცილებით უფრო ნაყოფიერია. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მონაცემებით გამოდის, რომ ერთი ცენტნერი მარცვლის მოყვანაზე კოლმეურნეობებში იხარჯება სამჯერ ნაკლები შრომა, ვიდრე წინათ იხარჯებოდა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში. ეს, რა თქმა უნდა, საკოლმეურნეო წყობილების გადამწყვეტ გამარჯვებაა ძველ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაზე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების მხრივ მიღწეული დონით იმიტომ, რომ ჩვენში დაგროვილია და მოიპოვება ყოველგვარი შესაძლებლობა შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონის მისაღწევად. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის უდიდესი მექანიზაცია ტრაქტორების, ავტომანქანების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახით. მეორე, საზოგადოებრივი შრომა კოლმეურნეობებში გაცილებით უფრო ნაყოფიერია, ვიდრე შრომა იზოლირებულ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაში. მესამე, დაგროვილია შრომის მაღალი ნაყოფიერების უდიდესი გამოცდილება მოწინავე კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებისა, რომლებიც ერთი ცენტნერი მარცვლის მოყვანაზე ხარჯავენ შრომას არა სამჯერ ნაკლებს, არამედ ხუთჯერ-ათჯერ ნაკლებს, ვიდრე ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაში იხარჯებოდა.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდება საჭიროა იმისათვის, რომ გვქონდეს მეტი პროდუქტები, რომ პროდუქციის ერთეულზე შრომის ნაკლები დახარჯვის დროს მოვიყვანოთ გაცილებით მეტი პროდუქტები და უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა უფრო შეძლებული ცხოვრება. მიწა ჩვენ ოდნავადაც არ გვზღუდავს, და სწორად ლაპარაკობდნენ აქ გუშინ, რომ ჩვენი მიწა კი არ არის ცუდი, არამედ ცუდია დამუშავება. ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობანი განუსაზღვრელია.

რა წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების უახლოეს წყაროებს? ეს წყაროები ბევრია, მე მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

პირველი წყაროა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესება, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნაყოფიერად გამოყენების გადიდება. როგორც მოწინავე მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, ტრაქტორისტები და კომბაინერები გვიჩვენებენ, აქ შესაძლებლობანი პირდაპირ განუსაზღვრელია. აი რამდენიმე ციფრი. საშუალო გამომუშავება სსრ კავშირში 1939 წელს, თუ 15-ძალიან ტრაქტორზე გადავიყვანთ, შეადგენდა 413 ჰექტარ პირობითს ნახნავს, ეს სამჯერ და კიდევ უფრო აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების ტრაქტორების ნაყოფიერებას. იქ ტრაქტორის გამომუშავება 111 ჰექტარს შეადგენს. ეს ცხადჰყოფს ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების უპირატესობას კაპიტალისტური და საფერმერო მეურნეობის წინაშე. მაგრამ ტრაქტორების საწარმოო გამოყენება მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არასაკმაოდ უნდა იქნას მიჩნეული.

ავიღოთ ტრაქტორების გამოყენება ციმბირის მხარეებსა და ოლქებში. ტრაქტორის გამომუშავება 1939 წელს ნოვოსიბირსკის ოლქში შეადგენს 369 ჰექტარს, ომსკის ოლქში— 350 ჰექტარს, ალტაის მხარეში — 347 ჰექტარს და კრასნოიარსკის მხარეში — 369 ჰექტარს, ე. ი. უფრო ნაკლებიცაა, ვიდრე საშუალო გამომუშავება სსრ კავშირში.

ამავე დროს მოწინავე ტრაქტორისტები იძლევიან რამდენჯერმე მეტ გამომუშავებას. ნოვოსიბირსკის ოლქის კუპინოს მტს-ის სატრაქტორო რაზმის ბრიგადირმა ამხ. ოჟიგანიკოვმა 1939 წელს „ჩტზ“ ტრაქტორით გამოიმუშავა 2665 ჰექტარი მაშინ, როცა სსრ კავშირში საშუალო ნორმაა 998 ჰექტარი. რიაზანის ოლქის მოჟარის მტს-ის სატრაქტორო რაზმის ცნობილი ბრიგადირის ამხ. ბორტაკოვსკის გამომუშავება „ჩტზ“ ტრაქტორით 1939 წელს შეადგენს 6.022 ჰექტარს. აზერბაიჯანის სსრ ტაუზის მტს-ის ტრაქტორისტმა ამხ. მუსა ალიევმა „სტზ“-ს თვლიანი ტრაქტორით გამოიმუშავა 1.207 ჰექტარი. ასეთი მოწინავე ტრაქტორისტები ჩვენში თითოოროლა კი არ არიან, არამედ ასობით და ათასობით მოიპოვებიან. შეიძლება სთქვან, ესენი ცალკეული ტრაქტორისტები არიანო. ეს არ არის სწორი, რადგან არიან ასობით მტს-ები და საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც მთლიანად იძლევიან გამომუშავებას, რაც ერთნახევარ-ორჯერ აღემატება ზემოხსენებულ საშუალოზე მაღალ გამომუშავებას. ასეთი მტს-ები თქვენში, ციმბირშიაც მოიპოვებიან. ნოვოსიბირსკის ოლქის იარკოვსკის მტს-ს 1939 წელს 15-ძალიან ტრაქტორზე აქვს გამომუშავება — 661 ჰექტარი, ალტაის მხარის ვესელოიარსკის მტს-ს — 583 ჰექტარი.

ასეთია შესაძლებლობანი და რეზერვები ტრაქტორების ნაყოფიერების გადიდებისათვის მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ხოლო რას ნიშნავს მტს-ების ტრაქტორთა ნაყოფიერების გადიდება სსრ კავშირში საშუალოდ მხოლოდ 10 პროცენტით? ეს ნიშნავს დაახლოებით 20 მილიონი ჰექტარის დამატებით მოხვნას ტრაქტორებით. ამავე დროს ბევრი მტს-ი წლითიწლობით ვერ ასრულებს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმას და განსაკუთრებით მძრალად ხვნის გეგმას.

ავიღოთ კომბაინები. საშუალო გამომუშავება პირობითი 15-ფუტიანი კომბაინით სსრ კავშირში 1939 წელს შეადგენს 277 ჰექტარ მოსავლის აღებას. 15-ფუტიანი კომბაინით ნოვოსიბირსკის ოლქში აღებულია 273 ჰექტარი მოსავალი, კრასნოიარსკის მხარეში — 251 ჰექტარი და ალტაის მხარეში — 255 ჰექტარი. ამავე დროს ნოვოსიბირსკის ოლქში კომბაინერმა ამხ. მნოგოლეტნიმ ერთმანეთზე გადაბმული სამი კომბაინით აიღო 3 ათასი ჰექტარი მოსავალი. იმავე ოლქის ტოგუჩკის მტს-ის კომბაინერმა ამხ. სანკოვმა „კომუნარის“ ერთი კომბაინით აიღო 820 ჰექტარი მოსავალი, ხოლო ჩკალოვის ოლქის ტაშლინის რაიონის ბოლშევისტსკაია მტს-ის კომბაინერმა ამხ. ვარაკინმა ერთმანეთზე გადაბმული ორი კომბაინით აიღო 3.420 ჰექტარი მოსავალი. გარდა ცალკეული მოწინავე კომბაინერებისა, ცოტა როდია ისეთი მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, რომელნიც, მთლიანად აღებული, კომბაინით ერთნახევარ-ორჯერ მეტ გამომუშავებას იძლევიან სსრ კავშირში მიღწეულ საშუალო გამომუშავებასთან შედარებით.

ხოლო რას ნიშნავს მტს-ებში კომბაინების ნაყოფიერების თუნდაც 10 პროცენტით გადიდება? ეს იმას ნიშნავს, რომ კომბაინებით დამატებით აიღო 5 მილიონამდე ჰექტარი.

როგორ უნდა იქნას გამოყენებული ტრაქტორებისა და კომბაინების ნაყოფიერების გადიდების ეს წყარო? როგორ უნდა გაუმჯობესდეს მტს-ების მუშაობა? ეს ამომწურავი სისრულით არის ნათქვამი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 13 იანვრის დადგენილებაში „სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის შესახებ“. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ მტს-ს ბოლომდე არ განუხორციელებია პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა გაადიდონ ტრაქტორებისა და კომბაინების ნაყოფიერი გამოყენება.

მეორე წყარო. კოლმეურნეთა შრომის უფრო სწორი ორგანიზაცია. ბევრი კოლმეურნეობა უკვე წარმატებით სწყვეტს ამ ამოცანას ბრიგადებში შრომის რგოლურ ორგანიზაციაზე გადასვლის გზით.

მას შემდეგ, რაც პარტიის XVIII ყრილობამ მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში სთქვა, რომ: „საჭიროა საკოლმეურნეო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და კოლმეურნეთა მთელს მასაში სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და უკეთ მომუშავე კოლმეურნეთა წახალისება, აგრეთვე ფართოდ გადასვლა კოლმეურნეობებში რგოლების ორგანიზაციაზე“ — კოლმეურნეობათა ბრიგადებში რგოლების რაოდენობა ყველა რესპუბლიკასა, მხარესა და ოლქში მნიშვნელოვნად გადიდდა.

რგოლებმა სავსებით გაამართლეს თავისი თავი ისეთ კულტურებზე, როგორიც არის ჭარხალი, ბამბა, სელი და ფეტვი. ისინი ამართლებენ თავისთავს აგრეთვე ხორბალზე და მინდვრის სხვა კულტურებზე, როგორც გვიჩვენებს ნოვოსიბირსკის და ომსკის ოლქების, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეების და კიდევ მრავალი სხვა ოლქის კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების ხაზით რგოლების მასობრივად მოწყობის გამოცდილება.

რაში მდგომარეობს შრომის რგოლური ორგანიზაციის უპირატესობა? ეს უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ ერთი, რგოლი, რომელიც კოლმეურნეთა მცირე რაოდენობისაგან შესდგება, შესაძლებლობას იძლევა უფრო სრულად და სწორად მოეწყოს კოლმეურნეთა შრომა. ურგოლო ბრიგადაში, სადაც 50-80 კაცია, ბრიგადირისათვის ამის გაკეთება გაცილებით უფრო ძნელია. ბრიგადირს დიდი მეურნეობა აქვს, მას ჰყავს არა მარტო მრავალი ხალხი, არამედ მოეპოვება აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალა და მანქანები. მარტო ბრიგადირისათვის ძნელია თვალყური ადევნოს, თუ რამდენად სწორად იყენებენ კოლმეურნეებს და როგორ მუშაობენ ისინი, რგოლები ამ მხრივ აადვილებენ ბრიგადისა და ბრიგადირის მუშაობას. მეორეც, რგოლი სრულ შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილ იქნას როგორც კოლმეურნეთა მცირე ჯგუფის, ისე ცალკეული კოლმეურნის ინიციატივა და უნარი ნათესის დამუშავებისა, მოვლისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში. და სწორად იქცევიან ის კოლმეურნეობანი, რომელნიც გამომუშავებული შრომადღეების გადამეტებით აჯილდოებენ კოლმეურნეთა ასეთ ჯგუფებს ან ცალკეულ კოლმეურნეებს. მესამე, რგოლი იმ კოლმეურნეებს, რომელნიც ჩამორჩენილ და წუმპლაჯ ელემენტებს წარმოადგენენ და ჯერ კიდევ მოიპოვებიან კოლმეურნეობაში, შესაძლებლობას არ აძლევს თავი აარიდონ საზოგადოებრივ შრომას ან მხოლოდ მოსაჩვენებლად იმუშაონ კოლმეურნეობებში.

ბრიგადების რგოლები კოლმეურნეობებისათვის ნამდვილად წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს საშუალებას კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, რაც გამოიხატება არა მარტო გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობით, არამედ მიღებული მოსავლიანობის სიუხვითაც. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ კოლმეურნეობანი, რომლებმაც თავიანთ ბრიგადებში რგოლები მოაწყეს, მოსავლიანობისა და შემოსავლის მხრივ უკეთეს მაჩვენებლებს იძლევიან, ვიდრე მათ გვერდით მდებარე კოლმეურნეობანი, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან რგოლებზე. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მოსავლიანობის მხრივ უმაღლეს რეკორდებს სოფლის მეურნეობის მოწინავეები რგოლებში აღწევენ. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გადავიდეთ შრომის რგოლურ ორგანიზაციაზე კოლმეურნეობათა ბრიგადებში.

მესამე წყარო. კოლმეურნეობათა მიერ გამომუშავების ნორმების თანდათანობით გადასინჯვა და გადიდება იმ სამუშაოებზე და იმ კოლმეურნეობებში, სადაც ეს ნორმები აშკარად მოძველდა და მთელი რიგი წლების განმავლობაში არ ყოფილა გადასინჯული და გადიდებული.

ძალიან ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე დიდი ხანია გადააჭარბა კოლმეურნეობებში გამომუშავების სანიმუშო ნორმებს, რომლებიც მიწსახკომმა გამოსცა 1934 წელს. ამ კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება გაიზარდა და აქედან გადიდდა შრომადღის ღირებულება, მაგრამ ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობანი, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთსა და იმავე მოძველებულ ნორმებზე შეჩერდნენ, რაც ასეთ კოლმეურნეობებში აფერხებს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და შრომადღის ღირებულების ზრდას.

მეოთხე წყარო. სოფლის მეურნეობაში მოწინავეთა მასობრივი მოძრაობის შემდგომი გაშლა, რომლის უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ამომწურავად იყო შეფასებული ამხანაგ სტალინის მიერ 1935 წელს კრემლში სტახანოველთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში.

თვითეულ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ს სრული შესაძლებლობა აქვთ იყოლიონ თავიანთი მოწინავეები და იამაყონ ამ მოწინავეებით. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უფრო გაბედულად გაავრცელონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება უფრო ფართო მასშტაბებით, რათა ეს გამოცდილება მარტო რეკორდებით არ განისაზღვროს. სოფლის მეურნეობაში მოწინავე ადამიანთა გამოცდილება და მიღწევანი ჭეშმარიტად უდიდესია. ავიღოთ თუნდ ჩვენი ნოვოსიბირსკელი მოწინავეები, რომლებიც აქ სხედან: ამხ. იუტკინა, რომელმაც თავისი რგოლით შესძლო ერთ ჰექტარზე მიეღო 1.217 ცენტნერი კარტოფილი და 944 ცენტნერი 4 ჰექტარი ფართობის თითო ჰექტარზე (ტაში), მაშინ როდესაც ნოვოსიბირსკის ოლქში კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა უდრის 104 ცენტნერს ჰექტარზე; ამხ. კოსტრიკინა, რომელმაც თავისი რგოლით 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 453 ფუთი ხორბალი და 120 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 200 ფუთი ხორბალი (ტაში) და სხვა ბევრი აქ მყოფი მოწინავეები. რა თქმა უნდა, ყველას როდი შეუძლია ერთბაშად მიაღწიოს ასეთ რეკორდებს, ისე როგორც ერთბაშად არ მიუღწევიათ ამ რეკორდებისათვის ამხ. იუტკინას და კოსტრიკინას, რომლებსაც 3-4 წლის შეუპოვარი, თავდადებული მუშაობა დასჭირდათ, მაგრამ ის, რასაც ჩვენი მოწინავეები აღწევენ სოფლის მეურნეობაში, მოწმობს, რომ არსებობს დაუშრეტელი რეზერვები და შესაძლებლობანი შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

თქვენ კი, ამხანაგო მოწინავეებო, იარეთ წინ, ნუ შეჩერდებით მიღწეულზე და მცირე ნაკვეთებიდან გადაიტანეთ თქვენი გამოცდილება დიდ ფართობებზე, აღაგზნეთ და თან გაიყოლიეთ ჩამორჩენილი კოლმეურნეები.

ასეთია სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების წყაროები.

ყოველივე ეს ჩვენს სამხარეო, საოლქო და რაიონულ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს აკისრებს ამოცანას—სერიოზულად გაუმჯობესონ, მუდმივი და დროული ხელმძღვანელობა გაუწიონ სოფლის მეურნეობას—კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რასაც ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს მუდამ ასწავლის ამხანაგი **სტალინი** (მქუხარე ტაში).

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ამხ. ა. ა. ანდრეევის სიტყვა ნოვოსიბირსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1940 წლის 17 მარტს

(დასასრული)

II. სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ზოგიერთი საკითხი

მეორე საკითხი, რომელზედაც მე მინდა შევჩერდე, არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ჩვენს აღმოსავლეთ რაიონებს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში.

თქვენ გინდათ თათბირის სახელით მიმართვა მიიღოთ ნოვოსიბირსკის ოლქისა და მეზობელი მხარეებისა და ოლქების სოფლის მეურნეობის კოლმეურნეებისა და სპეციალისტებისადმი. ეს სწორეა. დროა ნოვოსიბირსკის ოლქმა და სხვა აღმოსავლეთ ოლქებმა და მხარეებმა გამოარკვიონ თავიანთი კონკრეტული მონაწილეობა იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე დასვა ამხანაგმა **სტალინმა** პარტიის XVIII ყრილობაზე: „შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ მარცვლეულის ყოველწლიურ წარმოებას 8 მილიარდი ფუთის რაოდენობით, ჰექტარზე 12-13 ცენტნერის საშუალო მოსავლიანობით, გავადიდოთ წარმოება ტექნიკური კულტურების დარგში საშუალოდ 30-35 პროცენტით, გავადიდოთ ცხვრისა და ღორის სულადობა ერთიორად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა—40 პროცენტით, ცხენების სულადობა—35 პროცენტით". როცა გინდა გაიგო, თუ რა შესაძლებლობანი მოეპოვებათ ჩვენს აღმოსავლეთ რაიონებს, მათ შორის ნოვოსიბირსკის ოლქსაც, შეიძლება უყოყმანოდ სთქვა, რომ ნოვოსიბირსკის ოლქსა და სხვებს, — მე მხედველობაში მაქვს ომსკის ოლქი, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები და დაახლოებით მათი თანაბარი კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების მქონე ჩელიაბინსკის ოლქი და აგრეთვე ყაზახეთის სს რესპუბლიკის პავლოდარის, ჩრდილო-ყაზახეთის, კუსტანაის, ყარაგანდისა და აღმოსავლეთ-ყაზახეთის ოლქები, — შეუძლიათ 1,5 მილიარდი ფუთი მარცვლის ნაცვლად, რაც მათ 1938 წელს მოიყვანეს, მარცვლეულის წარმოება 2-3 წლის განმავლობაში გაადიდონ სულ ცოტა 2-2,5 მილიარდ ფუთამდე ყოველწლიურად. **(ტაში).** ამ ოლქებს წარმატებით შეუძლიათ ერთნახევარჯერ გაადიდონ პირუტყვის სულადობა **(ტაში).** და ეს, ამხანაგებო, გაზვიადება არ იქნება, რადგან ჩამოთვლილ ოლქებსა და მხარეებს უაღრესად ხელსაყრელი პირობები მოეპოვებათ სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდისათვის.

ამ მხარეებისა და ოლქების ზოგიერთმა ცალკეულმა რაიონმა უკვე უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მიაღწია საკმაოდ დიდ მოსავლიანობას მარცვლეულის მხრივ. მაგალითად, კრასნოიარსკის მხარის პიროვსკოეს რაიონმა 1939 წელს მიიღო მთლიანად რაიონში საგაზაფხულო ხორბლის მოსავალი ჰექტარზე 20,8 ცენტნერის რაოდენობით, შირის რაიონმა — 16,7 ცენტნერის რაოდენობით. ნოვოსიბირსკის ოლქის ლენინის რაიონმა ჰექტარზე მიიღო 17,8 ცენტნერი მარცვლეული, კემეროვოს რაიონმა — 16,6, ტოპკისამ — 16,6 ცენტნერი. ყაზახეთის სსრ ჩრდილო-ყაზახეთის ოლქმა 1938 წელს მთლიანად ოლქში ჰექტარზე მიიღო 20,2 ცენტნერი მარცვლეული. მაშასადამე, ზოგიერთმა რაიონმა და ოლქმა უკვე მიაღწია იმაზე მეტ მოსავალს, ვიდრე ჩვენ განვიზრახეთ ჩავწეროთ ჩვენს მიმართვაში—ჰექტარზე 100 ფუთის რაოდენობით.

მე აღვნიშნე, რომ აღმოსავლეთ რაიონებში სოფლის მეურნეობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები არსებობს. რითი გამოიხატება ეს პირობები? ავიღოთ მიწის საკითხი. სად არის სხვაგან ჩვენს ქვეყანაში ისეთი თვალუწვდენი მიწები, როგორიც აღმოსავლეთ რაიონებში მოიპოვება? შედარებისათვის მე მინდა გამოვაქვეყნო რამდენიმე ციფრი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენი მიწა მოდის აღმოსავლეთ ოლქების კოლმეურნეობებში და რამდენი მოდის სსრ კავშირის სხვა ოლქებში ერთ საკოლმეურნეო კომლზე. უკრაინაში ერთ საკოლმეურნეო კომლზე მოდის 9 ჰექტარი მიწა, კალინინის ოლქში — 14 ჰექტარი, მოსკოვის ოლქში — 8 ჰექტარი, ვორონეჟის ოლქში — 11 ჰექტარი, კურსკის ოლქში — 10 ჰექტარი, ხოლო კრასნოიარსკის მხარეში — 59 ჰექტარი, ნოვოსიბირსკის ოლქში — 49 ჰექტარი, ომსკის ოლქში — 49 ჰექტარი, ალტაის მხარეში— 47 ჰექტარი და ჩელიაბინსკის ოლქში — 40 ჰექტარი.

სახნავად გამოსადეგი მიწები ჩემ მიერ ზემო დასახელებულ ათ აღმოსავლეთ ოლქსა და მხარეში შეადგენს 39 მილიონ ჰექტარს, სათიბი — 19 მილიონსა და საძოვრები—35 მილიონ ჰექტარს. დღემდე სახნავ-სათესად არ არის გამოყენებული 14 მილიონამდე ყამირი და ნასვენი მიწები. აი სამიწათმოქმედო შესაძლებლობანი.

ავიღოთ ნიადაგის პირობები. აღმოსავლეთ რაიონებში უმთავრესად არის: შავი ნიადაგი, წაბლა-ნიადაგი, ტყე-ტრამალი, რომელიც დიდძალ ნეშომპალას შეიცავს, ჯერ კიდევ მოუხნავი გაუმწირებელი ნიადაგები, კარგი სტრუქტურისა, ე. ი. ყველაზე უფრო ხელსაყრელი დიდი მოსავლისათვის.

აღმოსავლეთ რაიონებში განსაკუთრებით ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. გვალვა ამ რაიონებში იშვიათი მოვლენაა. თუ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ვოლგისა და სამხრეთ ოლქებში 17 გვალვიანი წელიწადი იყო, ციმბირში იყო მხოლოდ 5 და ისიც ნაწილობრივ — გვალვა დიდ ტერიტორიაზე არ გავრცელებულა. მაშასადამე, აქ მდგრადი ჰავაა. წყლის მრავალი აუზი, მდინარეები, ტბები. საიანისა და ალტაის მთები, რომლებიც აღმოსავლეთის მშრალი ქარებისაგან იცავენ, ტყის დიდი მასივები, ყველა ესენი ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან მდგრადი და მაღალი მოსავლის მისაღებად.

შემთხვევითი როდია, რომ საგაზაფხულო ხორბლისა და კარტოფილის მოსავლიანობის ყველაზე მაღალი რეკორდები მიღწეულია ციმბირის ნიადაგსა და ციმბირის პირობებში. შემთხვევითი როდია, რომ ამხ. ეფრემოვმა, კოსტრიკინმა, ჩუმანოვმა, იუტკინამ, სერგეევმ და სხვებმა ციმბირის ნიადაგზე მარცვლეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის შესანიშნავ რეკორდებს მიაღწიეს. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი აღმოსავლეთ რაიონების საგაზაფხულო ხორბლის ხარისხი ცილის შემცველობის მხრივ კანადისა და სხვა ქვეყნების ხორბლისაზე უფრო მაღალია.

საბჭოთა ხელისუფლებამ ციმბირი ძირფესვიანად გარდაჰქმნა. ციმბირი, რომელიც ნახევრადუდაბნური ქვეყანა, კატორღისა და გადასახლების ადგილი იყო, ახლა სსრ კავშირის სამრეწველო რაიონია, რომელსაც მაღალი მექანიზებული სოფლის მეურნეობა აქვს. აი ზოგიერთი ცნობა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის შესახებ. ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებსა, ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქებში კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში 1939 წელს მუშაობდა 47 ათასი ტრაქტორი, 23 ათასი კომბაინი, 22 ათასი ავტომანქანა. ამ მხარეებისა და ოლქების მარტო მტს-ები 1940 წელს იღებენ 4 ათასამდე ახალ ტრაქტორსა და 3 ათას კომბაინს. ტრაქტორები ამ ოლქებში ამუშავებენ მთელი სახნავის 80-მდე პროცენტს, კომბაინებით კი მარცვლეულის მთელი ასაღები ფართობის 70-ზე მეტ პროცენტს იღებენ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ეს დონე ბევრი ჩვენი სხვა ოლქის მექანიზაციის დონეს აღემატება.

მაშასადამე, აღმოსავლეთ რაიონებში არა მარტო ბლომად არის მიწა, არა მარტო კარგი ნიადაგი და ხელსაყრელი ჰავაა, არამედ არის დიდად მექანიზებული სოფლის მეურნეობაც გაზრდილი მრავალრიცხოვანი კადრებითურთ კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამრიგად, არსებობს ყველა პირობა სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდისათვის.

აი, ამხანაგებო, რატომ უნდა გადაიქცნენ ჩვენი აღმოსავლეთი ოლქები უახლოეს წლებში ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ერთერთ ძირითად ბეღლად. **(ტაში).**

მე არაერთხელ ვყოფილვარ ციმბირში და ცოტათი შესწავლილი მაქვს იგი, და პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ კაცს აღაგზნებს ყველა ის შესაძლებლობა, რაც ჩვენს უმდიდრეს აღმოსავლეთ რაიონებში მოიპოვება.

აღმოსავლეთი ოლქებისა და მხარეების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოციალისტური მიწათმოქმედების დარგში უკვე აქვთ უდიდესი წარმატებანი. 10 წლის განმავლობაში, 1928-დან 1938 წლამდე, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჩელიაბინსკის, ომსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქებში, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებში საშუალოდ გადიდდა 9,5 ცენტნერიდან 13 ცენტნერამდე ჰექტარზე. მარცვლეულის საერთო წარმოება ამ ხუთ ოლქსა და მხარეში 10 წლის მანძილზე გადიდდა 600 მილიონიდან 1 მილიარდ 100 მილიონ ფუთ მარცვლამდე. მეორე ხუთწლედის განმავლობაში ციმბირის ოლქებსა და მხარეებში ათვისებულ იქნა 6,5 მილიონი ჰექტარი ახალი მიწა. ციმბირის სოფლის გლეხის ცხოვრება კოლმეურნეობებში ძირფესვიანად გარდაიქმნა, კულტურული და შეძლებული გახდა.

მაგრამ ამავე დროს, ამხანაგებო, როგორც უკვე ვთქვი, თქვენ გაქვთ უდიდესი შესაძლებლობანი კიდევ უფრო სწრაფი წინსვლისათვის მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდის საქმეში. რა უნდა გააკეთონ ამისათვის აღმოსავლეთ რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მტს-ებმა, აგრეთვე პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა?

მათ ბოლო უნდა მოუღონ მიწათმოქმედების ხელმძღვანელობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს, გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ მიწის დამუშავება, მოსპონ სარეველები მინდვრებში. 1938 წელს პურის აღების დროს მე მომიხდა ყოფნა ომსკის, ნოვოსიბირსკის, ჩელიაბინსკის ოლქებისა და ალტაის მხარის მინდვრებში. უნდა ვთქვა, რომ ზოგჯერ ძნელი იყო ზოგიერთი კოლმეურნეობისა და თვით საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში გაგეგოთ—რა არის ეს: შამბნარი - აბზინდა, ღიჭა, რძიანა და სხვა სარეველები, თუ ნათესებია, თურმე ნათესები ყოფილა. ამიტომ ასეთი მინდვრების აღების დროს სამართლიანად დრტვინავენ კომბაინერები, რომლებსაც სარეველების დიდი რაოდენობის გამო არ შეუძლიათ სათანადო სისწრაფით ამუშაონ თავიანთი კომბაინები.

აბა ერთი განსაჯეთ, მინდვრებში სარეველების გავრცელების დროს ციმბირში კოლმეურნეობები იღებენ 12-13 ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე. ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენი პურის აღება შეიძლება, სარეველები რომ მოვსპოთ.

რით აიხსნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ასეთი გულგრილი დამოკიდებულება მინდვრების სარეველიანობისადმი? ალბათ, მრავალმიწიანობით: „მიწის რაოდენობა გაგვიტანს, სულერთია პური გვეყოფაო". ასე მსჯელობს დღემდე არა მარტო კოლმეურნეობათა ზოგიერთი თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი დირექტორი, არამედ ზოგიერთი აგრონომიც.

თქვენში, ნოვოსიბირსკის ოლქში, აგრეთვე მეზობელ მხარეებსა და ოლქებში, დღემდე, როგორც წესი, თურმე, ანეულს ზერელედ ხნავენ, — 13-14 სანტიმეტრზე, ნაცვლად— 20-22 სანტიმეტრისა. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა წლითი-წლობით სთესს ხორბალს ხორბალზე, ისე, რომ კულტურებს მორიგეობით სრულიად არ სთესენ და მიწას არ ასვენებენ. აი, სწორედ ეს იწვევს მინდვრების სარეველიანობას.

დროა აღმოსავლეთის ოლქებში, მათ შორის თქვენს ნოვოსიბირსკის ოლქშიც, დაიწყოთ გადასვლა თესლბრუნვაზე, რისი შემოღებაც მრავალმიწიანობის პირობებში შედარებით უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ოლქებში ისე, რომ არ შეამციროთ მარცვლეულის ნათესთა ფართობები.

ბოლო უნდა მოეღოს აგრეთვე მძრალად ხვნის გეგმის წლითიწლობით შეუსრულებლობას. ნოვოსიბირსკის ოლქმა 1939 წელს მძრალად მოხნა მხოლოდ 34 პროცენტი, ომსკის ოლქმა — 36 პროცენტი, ალტაის მხარემ — 33 პროცენტი, კრასნოიარსკის მხარემ — 26 პროცენტი. ეს არ არის სწორი. საერთოდ ჩვენში, ზოგიერთ ოლქში, ვერ აფასებენ საშემოდგომო სამუშაოებს, ე. ი. დროზე საშემოდგომო თესვასა და მძრალად ხვნას, ამასთან ივიწყებენ, რომ სწორედ საშემოდგომო სამუშაოები წინასწარ განსაზღვრავენ მომავალი წლის მოსავალსა და საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებს.

საჭიროა აგრეთვე ბოლო მოვუღოთ პურეულის აღების დროს მარცვლის დანაკარგებს, რაც ხდება კომბაინების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, ნაგვიანევი აღების, გალეწვის მხრივ ჩამორჩენისა და კალოებზე პურის გაფუჭების გამო. მოსავლის აღების დროს 2 ცენტნერის, ხოლო ზოგჯერ 3 ცენტნერის დაკარგვაც კი ჰექტარზე ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

მიწათმოქმედებისა და მოსავლიანობის ახალ დონეზე აყვანასთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ენერგიული მუშაობა უნდა სწარმოებდეს პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გასადიდებლადაც. ამისათვის თქვენში, ნოვოსიბირსკის ოლქში, ისე, როგორც თქვენს მეზობლად მყოფ სხვა ოლქებსა და მხარეებში, — ძალიან ბევრი შესაძლებლობაა.

მაგრამ, როგორც სჩანს, მარტო ზემოჩამოთვლილი ღონისძიებანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აღმოსავლეთის რაიონები სსრ კავშირის ერთერთ ძირითად ბაზად გადავაქციოთ მარცვლის წარმოების დარგში. საჭირო გახდება მოვხნათ 6-8 მილიონი ჰექტარი ახალი მიწა — ნასვენი და კრცხალი მიწები, — რაც სავსებით შესაძლებელია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწის მარაგის მიხედვით.

არსებობს ერთადერთი სიძნელე. აღმოსავლეთ რაიონებში მიწათმოქმედების მექანიზაციის მაღალი დონის მიუხედავად, მაინც არ გვეყოფა ხალხი კოლმეურნეობებში ასეთი დიდი სათესი ფართობებისათვის. მაგრამ ამ სიძნელის გადალახვა ადვილია, თუ ჩვენი აღმოსავლეთ ოლქებისა და მხარეების საბჭოთა ორგანიზაციები და კოლმეურნეობანი მოაგვარებენ სსრ კავშირის სხვა მცირემიწიან რაიონებიდან გადასახლებულ კოლმეურნეთა მიღებისა და მოწყობის საქმეს. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნოვოსიბირსკის ოლქის ზოგიერთი კოლმეურნეობის თაოსნობას, მაგალითად, კემეროვოს რაიონის „პუტ კ სოციალიზმუს" კოლმეურნეობას, რომლებმაც აიღეს და უკვე ააშენეს, მოაწყეს 2-3-4 სახლი თვითეულ კოლმეურნეობაზე იმ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც მათთან გადასახლდებიან.

ამ კარგ მოძრაობას ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი. მას შეუძლია ახალ საფუძველზე დააყენოს გადასახლების მთელი საქმე. და სწორადაც მოიქცნენ საკ. კ. პ. (ბ) ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტი და საოლქო აღმასკომი, რომლებმაც გადასწყვიტეს ჩაატარონ მზადება იმისათვის, რომ მიიღონ 1940 წელს კოლმეურნეთა 20 ათასი ახალი ოჯახი, რომლებიც ნოვოსიბირსკის კოლმეურნეობებში სახლდებიან. ასეთ ვითარებაში შეიძლება ეჭვი არ შევეპაროს, რომ დიდძალი კოლმეურნე ხალისით წავა აღმოსავლეთ რაიონების კოლმეურნეობებში, რათა იცხოვროს და იმუშაოს ახალ პირობებში.

აი, ამხანაგებო, ის, რაც უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი აღმოსავლეთის უმდიდრესი ოლქებისა და მხარეების სოციალისტური მიწათმოქმედება ავიყვანოთ უფრო მაღალ დონეზე და ამით მივაღწიოთ იმას, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მოვიყვანოთ ორი-ორნახევარი მილიარდი ფუთი მარცვალი. როგორც ხედავთ, აქ შეუძლებელი არაფერია. მაშ ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენ, მიიღეთ რა ამ თათბირზე მიმართვა და იკისრეთ რა ვალდებულება 1940 წელს მიაღწიოთ ჰექტარზე 100 ფუთ მოსავალს, —ღირსეულად შეასრულებთ ამ ვალდებულებას. **(მქუხარე ტაში).**

არჩევნები უკრაინის და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთ ოლქებში

სტალინური კონსტიტუციის დროშით

24 მარტს უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის დასავლეთი ოლქების მშრომელებმა თავიანთი საუკეთესო ადამიანები აირჩიეს სსრ კავშირის, უკრაინის სს რესპუბლიკისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად.

პანების უღლისაგან განთავისუფლებული მოძმე ხალხები ამ დღეს მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან, რათა თავიანთი ხმა მიეცათ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის. ისინი არჩევნებში გამოვიდნენ სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის დროშით, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, თავიანთი სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით აღფრთოვანებულნი.

სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი

ლვოვი. დილაა. ათიათასობით მოქალაქე ისწრაფვის პირველმა მიიღოს მონაწილეობა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებში. სახლები ლამაზად მორთულია ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით, გუცულის ლამაზი ხალიჩებით.

იაგელონის ქუჩაზე № 12 სახლის ეზოში თავი მოიყარა მცხოვრებთა ჯგუფმა. ესენი არიან სტალინური კონსტიტუციის შემსწავლელი წრის მონაწილენი. მათ გადასწყვიტეს ერთად წავიდნენ საარჩევნო უბანში.

ჟოვკივსკის ქუჩაზე № 88 სახლში მოთავსებულია საარჩევნო უბანი № 15. უბნის სადგომში თავი მოუყრიათ საწარმოთა მუშებს, რკინიგზელებს, დიასახლისებს, 60-70 წლის მოხუც ქალებსა და მამაკაცებს, ახალგაზრდებს. ყველას მხიარული, ბედნიერი გამომეტყველება აქვს. ყველანი სადღესასწაულოდ არიან მორთულნი.

...მუშათა გარეუბანი გაბრილოვკა. შევჩენკოს საარჩევნო ოლქის № 23 საარჩევნო უბანში დილის 6 საათისათვის თავი მოიყარა 200-ზე მეტმა კაცმა.

საგიტაციო პუნქტში მოვიდა ძველი ტრამვაელი მუშა პეტრე ვასილის-ძე სავკო. მან ეს-ეს არის ხმა მისცა და ახლა ამხანაგებს უამბობს თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე.

ათასობით ადამიანს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს, განთავისუფლებულ ხალხს, რომელიც ხმას აძლევს თავის საუკეთესო წარმომადგენლებს, პირზე აკერია უაღრესად ძვირფასი და ახლობელი სახელი სტალინისა.

...შუაღამემდე არ დამცხრალა ლვოვის ქუჩებში მხიარული მუსიკა, მხნე სიმღერა. ყველგან საგრძნობი იყო გაზაფხული, ყველგან დიდი, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაული იყო.

24 მარტი (საკდესი).

ხმას აძლევენ ბელოსტოკის ფეიქრები

ბელოსტოკი. ქალაქი ადრე გამოცოცხლდა. ალიონის მყუდროება რადიომ დაარღვია. რეპროდუქტორები არემარეს სიმხნით აღსავსე საბჭოთა სიმღერებს ჰფენენ. ყველგან—ქალაქის ცენტრში და გარეუბნებში მხიარული, აღგზნებული განწყობილებაა.

მე-52 პროლეტარული საარჩევნო ოლქის უბანი. სახლი, რომელშიაც იგი მოწყობილია, მეფაბრიკე მარკუსს ეკუთვნოდა. ახლა აქ მოთავსებულია პირველი საფეიქრო კომბინატის დირექცია. ქარი არხევს წითელ ტილოებს; ტილოებზე წარწერილია ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ ამომრჩევლებს მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. ფაბრიკის კორპუსებში ამხანაგ **სტალინისა** და მისი თანამებრძოლების დიდი პორტრეტებია. ერთი წლის წინათ ამ კორპუსებში დაზგები მთელი თვეობით სდუმდნენ. ხოლო 1940 წლის 23 მარტს კომბინატის სტახანოველებმა კვარტალური გეგმა შეასრულეს.

განუწყვეტლივ იღება უბნის კარი, შემოდიან ამომრჩევლები. ისინი იღებენ საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებშიც შეტანილი არიან ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები: არმიის სარდალი კოვალიოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა განთავისუფლების ოპერაციებს, ინჟინერი ტურლეტსკი, პირველი კომბინატის სტახანოველი მრთველი პეტროვსკაია.

საფრანგეთის კაბინეტის შემადგენლობა

(ცნობა)

საფრანგეთის მთავრობის ახალ შემადგენლობაში შევიდნენ ეგრეთწოდებული „ალიანს დემოკრატიკის" („დემოკრატიული კავშირის"), რადიკალ სოციალისტებისა და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები.

„ალიანს დემოკრატიკი" არის სხვადასხვა რეაქციული პოლიტიკური დაჯგუფებების ბლოკი, რომლებიც საფრანგეთის საბანკო და სამრეწველო წრეების ინტერესებს გამოჰხატავენ. ამ ბლოკის ხელმძღვანელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, კერძოდ, პარიზ-ნიდერლანდის ბანკთან. „ალიანს დემოკრატიკი" საფრანგეთში ცნობილია, როგორც ორგანიზაცია, რომელიც თავის უმთავრეს ამოცანად ისახავს პარლამენტარიზმის ნაშთების მოსპობას. „ალიანს დემოკრატიკი" გააფთრებით იბრძოდა სახალხო ფრონტისა და კომპარტიის წინააღმდეგ. ალიანსის ლიდერები არიან ფლანდენი და რეინო.

ახალ მთავრობაში „ალიანს დემოკრატიკი" წარმოდგენილია ოთხი მინისტრით, მათ შორის პრემიერ-მინისტრ პოლ რეინოთი.

პოლ რეინო ფინანსთა მინისტრი იყო დალადიეს უკანასკნელ მთავრობაში. რეინომ, რომელიც უწინ ადვოკატი იყო, თავისი პოლიტიკური კარიერა დეპუტატთა პალატაში დაიწყო, სადაც ის პირველად 1919 წელს აირჩიეს, ხოლო შემდეგ— 1928 წელს. უკანასკნელი წლების განმავლობაში რეინო არაერთხელ ყოფილა საფრანგეთის მთავრობის წევრად: ფინანსთა მინისტრად ტარდიეს კაბინეტში (1930 წელს), კოლონიების მინისტრად ლავალის კაბინეტში (1931 წელს), იუსტიციის მინისტრად და მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ ტარდიეს კაბინეტში (1932 წელს). დალადიეს მთავრობაში იგი ჯერ იუსტიციის მინისტრად იყო, ხოლო 1939 წლის 1 ნოემბრიდან ფინანსთა მინისტრად დანიშნეს. ფინანსთა მინისტრი რეინო დალადიესთან ერთად სულისჩამდგმელი იყო მთელი რიგი საგანგებო დეკრეტებისა, რითაც დაიწყო გალაშქრება მშრომელთა მონაპოვარის წინააღმდეგ და რაც ერთერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა ომისათვის საფრანგეთის მზადების საქმეში.

უცხოეთის პრესა რეინოს გვიხატავს, როგორც „მტკიცე ხელის" სახელმწიფო მოღვაწეს, გააფთრებულ ანგლოფილს და გერმანიის წინააღმდეგ ომის განუხრელად განგრძობის მომხრეს.

რეინოს გარდა, „ალიანს დემოკრატიკის" პარტიას მთავრობაში თავის წარმომადგენლებად ჰყავს— ლუი როლენი (ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი), პოლ ტელიე (მიწათმოქმედების მინისტრი) და მარსელ ერო (ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი). ეს სამი მინისტრი ეკუთვნის საფრანგეთისათვის დამახასიათებელ პირთა ჯგუფს, რომლებიც მრავალი მთავრობის „საშტატო მინისტრები არიან" ათეული წლების მანძილზე.

„ალიანს დემოკრატიკის" პარტიის გარდა საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ აგრეთვე სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. როგორც ცნობილია, სოციალისტებმა თავი გამოიჩინეს აქტიური მონაწილეობით კომპარტიისა და რევოლუციური პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ ტერორში. ამჟამად ისინი მოწვეული არიან მთავრობის შემადგენლობაში, როგორც „მუშათა საკითხის" სპეციალისტები, რათა დაეხმარონ საფრანგეთის ბურჟუაზიას და ომის მთელი სიმძიმე სავსებით მუშათა კლასს აზიდვინონ.

სოციალისტების განკარგულებაშია იუსტიციის მინისტრის (სეროლი), პენსიების მინისტრის (რივიერი) და ბლოკადის მინისტრის (მონე) პორთფელები.

საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირთ რაიმე განსაკუთრებული მოღვაწეობით თავი არ გამოუჩენიათ. სოციალისტური პარტიის შიგნით ისინი მომხრეები არიან მემარჯვენე ფრთისა, რომელსაც პოლ ფორი მეთაურობს.

ასეთია ძირითადი ცვლილება საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში. წინანდელმა პრემიერ-მინისტრმა დალადიემ სამხედრო მინისტრის პორთფელი შეინარჩუნა.

მთავრობაში დარჩნენ აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შოტანი, საზღვაო მინისტრი კამპინკი, შეიარაღების მინისტრი დოტრი, კოლონიების მინისტრი მანდელი და სხვ.

ახლანდელ მთავრობაში უმრავლესობა, ისევე როგორც წინანდელში, რადიკალ- სოციალისტების პარტიას ეკუთვნის. ამ პარტიას დარჩა რვა უმნიშვნელოვანესი სამინისტრო, მათ შორის სამხედრო, საზღვაო, მომარაგებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ახლანდელსა და წინა მთავრობაში დალადიესთან ერთად თვალსაჩინო ადგილი უკავია მინისტრთა საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეს კამილ შოტანს,—პროფესიით ადვოკატს, სენატორს; დეპუტატთა პალატაში იგი პირველად იქნა არჩეული 1910 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრად იყო ერიოს კაბინეტებში 1924 და 1926 წლებში. ერიოს უკანასკნელ მთავრობაში 1932 წელს მას შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა და ეს თანამდებობა შეინარჩუნა 1932 წლის დეკემბრიდან 1933 წლის ნოემბრამდე პოლ ბონკურის, დალადიესა და ალბერ საროს კაბინეტებში, რომლებმაც თანამიმდევრობით შესცვალეს ერთმანეთი. 1933 წლის ნოემბრიდან 1934 წლის იანვრამდე იგი სათავეში იდგა მთავრობას. იყო საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრად საროს მეორე კაბინეტში, რომელიც 1936 წლის იანვარში ჩამოყალიბდა. იგი ერთერთი ყველაზე უფრო რეაქციული ფიგურაა საფრანგეთის მთავრობისა. საგარეო პოლიტიკაში ის სავსებით მხარს უჭერს ინგლისის დიპლომატიასა და მის გეგმებს.

რადიკალ-სოციალისტ მინისტრთა შორის ერთერთი უთვალსაჩინოესი ფიგურაა სენატორი ალბერ სარო. იგი რამდენჯერმე იყო პრემიერად და 21-ჯერ მინისტრად (პირველად 1909 წელს).

ორჯერ იყო საფრანგეთის ინდოჩინეთის გენერალ-გუბერნატორად. დალადიეს უკანასკნელ მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნისას თავი ისახელა კომპარტიისა და რევოლუციური პროფკავშირების მხეცური დევნით.

რეინოს მთავრობის ახალ მინისტრთა შორის უნდა აღინიშნოს ინფორმაციის მინისტრი—კარგად ცნობილი რენეგატი ფროსარი, საფრანგეთის რეაქციის განსაკუთრებით თავგამოდებული ფარეში. ფროსარი „რესპუბლიკური და სოციალისტური კავშირის" წევრია და წარმოადგენს მის უკიდურეს მემარჯვენე ფრთას. ფროსარი რამდენჯერმე იყო მინისტრად. კერძოდ, მონაწილეობდა ლავალისა და სხვათა „ნაციონალური გაერთიანების" კაბინეტებში.

26 მარტს, საღამოს 7 საათზე, „კომუნისტის" რედაქციის ბინაზე (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული) შესდგება გაზ. „კომუნისტის" რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

მოსკოვი—სოფია

საბჭოთა თვითმფრინავების საზეიმო შეხვედრა სოფიაში

გაიხსნა ახალი რეგულარული საჰაერო ხაზი მარშრუტით მოსკოვი—სოფია (ბულგარეთის დედაქალაქი). 24 მარტს, სოფიაში პირველი სარეისო თვითმფრინავის ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე, სოფიის აეროდრომზე რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი. აეროდრომი მორთული იყო ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის დროშებით. საბჭოთა თვითმფრინავი, რომელმაც ბულგარეთის დედაქალაქზე მისასალმებელი წრე გააკეთა, სოფიის დროით 4 საათსა და 40 წუთზე მოხდენილად დაეშვა აეროდრომის მოედანზე. კაბინის კარებში ხომალდის მეთაურის კირიჩენკოს გამოჩენას ტაშით და მისასალმებელი შეძახილებით შეეგებნენ.

ხომალდის ეკიპაჟს მიესალმნენ: სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბულგარეთში ამხ. ლავრენტიევი, ბულგარეთის საჰაერო ძალების უფროსი გენერალი ბოიდევი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზახარიევი, სამხედრო სამინისტროს, საგარეო საქმეთა და გზათა სამინისტროების ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წარმომადგენლები და სხვები. ჩამოსულნი შემხვედრებთან ერთად, მანქანებით გაემართნენ ქალაქისაკენ. გზატკეცილის გასწვრივ და სოფიის ქუჩებში დიდძალი ხალხი მიესალმებოდა თვითმფრინავის ეკიპაჟს. მთელი ბულგარული პრესა გულთბილად მიესალმება პირველი სარეისო საბჭოთა თვითმფრინავის ჩამოსვლას. გაზეთები აქვეყნებენ დაწვრილებითს ცნობებს თვითმფრინავის ჩამოფრენის შესახებ და ათავსებენ სოფიის აეროდრომზე მისი შეხვედრის ფოტოსურათებს.

(საკდესი).

ლექცია მშობელთათვის

26 მარტს, საღამოს 7 საათზე, სანკულტურის თეატრის დარბაზში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახ. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება აწყობენ დოც. შ. სიხარულიძის ლექციას მშობელთათვის თემაზე: „სკოლა და ოჯახი". ლექციის შემდეგ სანკულტურის თეატრი მშობლებს უჩვენებს წარმოდგენას.

შვილები კაკო, თამარ, ნინო, რძალი მარო, დები სალომე, მინადორა, ძმა არსენა იუწყებიან

ნესტორ პეტრეს-ძე ოდიშარიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/III ს. ნახარებოვოში (ვეგეჭკორის რაიონი). 5780

დედა პოლინე, მამა თეოფილე, ძმა კოლია იუწყებიან, რომ 30/III ს. ოფეთში (სამტრედია) დანიშნულია

რემან (რემკო) ქორიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 5781

მშობლები მიხეილ, სოფიო, ძმა ტიგრან ცოლით ანოთი, შვილებით რობერტით, სესილიათი ბეჟანოვები იუწყებიან

გიორგი მიხეილის-ძე ბეჟანოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ველისციხეში 26/III. 5782

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ნერვების სნეულებათა კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ გრიგორაშვილის ძმის

იპოლიტეს

გარდაცვალებას. 5783

ვანო და ლიუბა ყურულოვები შვილებით და დედით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის

გიორგი ბეჟანოვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/III ველისციხეში. 5788

ახლო მეგობრები ანიკო კლდიაშვილი, ნორა ჩიკვაიძე, მარო წერეთელი, ძაძუ მიმინაძე იუწყებიან ქეთო მაჭავარიანის მეუღლის

დათიკო მაჭავარიანის

გარდაცვალებას. 5774

დიომიდე და გერმან კობახიძეები ცოლშვილით იუწყებიან ძვირფასი მამის

მიხა კობახიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ხეთაში 29/III. 5771

საბჭოთა რადიომაუწყებლობის XV წლისთავი

საზეიმო სხდომა საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში

24 მარტს თბილისის საზოგადოებრიობამ დიდი საზეიმო სხდომით აღნიშნა საბჭოთა რადიომაუწყებლობის XV წლისთავი. საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მრავალრიცხოვან რადიომსმენელთა წარმომადგენლები, გაიმართა საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

ერთსულოვანი მოწონებითა და აღფრთოვანებით შეხვდა ხალხით სავსე დარბაზი საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში დიდი **სტალინისა** და მისი თანამებრძოლების—**ვ. მ. მოლოტოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, მ. ი. კალინინის, ა. ა. ჟდანოვის, ა. ი. მიქოიანის, ა. ა. ანდრეევის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ლ. პ. ბერიას, ნ. მ. შვერნიკის,** აგრეთვე **კ. ნ. ჩარკვიანისა** და **ვ. მ. ბაქრაძის** დასახელებას. დიდხანს გაგრძელდა ოვაციები და საზეიმო შეძახილები ამხანაგ **სტალინისა** და მისი თანამებრძოლების პატივსაცემად.

საბჭოთა რადიომაუწყებლობის XV წლისთავის შესახებ საზეიმო სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს რადიოკომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შ. ცაგარეიშვილი.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: რადიომოყვარულთა სახელით დ. ხმიადაშვილმა, ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის რადიო - მსმენელთა ოთხათასიანი კოლექტივის სახელით ორდენოსანმა ელექტრო-შემდუღებელმა ზ. ნადირაძემ, თბილისის რადიო-სტუდიის მომღერალთა სახელით სოლისტმა ლ. გერმისაშვილმა, საქართველოს მწერალთა სახელით ს. ჩიქოვანმა, ინჟ. მარკუნასმა და თბილისის პიონერებისაგან მედეა კანდელაკმა.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ **სტალინს**, სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მეთაურს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანს**.

სხდომა დამთავრდა დიდი და მრავალფეროვანი კონცერტით.

კასიანიკის ახალი მსოფლიო რეკორდი

23 მარტს თბილისში დაიწყო ძალოსანთა შეჯიბრება საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაზე ნახევრად მსუბუქი წონის ძალოსანმა, მსოფლიო რეკორდსმენმა კასიანიკმა (თბილისი) ორი ხელით ასწია 100,1 კილოგრ., რითაც დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი.

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. მესხის ლექცია რუსულ ენაზე. თემა — მხატვრული ლიტერატურით სარგებლობა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მეშვიდე თავის შესწავლისას.

27 მარტს, საღამოს 8 საათზე, იმავე სახლში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის ყველა რგოლების მეცადინეობა. პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „ქეთო და კოტე", რუსთაველის სახელობის — „ყაჩაღები", მარჯანიშვილის სახელობის — „მადამ სან-ჟენ", მუსკომედია — „აზნაურები", სახესტრადა — მოსკოვის ესტრადის მსახიობთა კონცერტი.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „არინკა", ოქტომბერი — „გამანადგურებელნი", დამკვრელი — „არინკა", კომკავშირელი — „ბედნიერების მაძიებელნი", ლუქსემბურგის სახ. — კინოს ოცი წლისთავი, სპარტაკი — „გამანადგურებელნი", კომინტერნი — „მიგდებული ბავშვი", 26 კომ. სახ. — „სედოველები", კინოს ოცი წლისთავი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. ბერიას სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის გამგის პროფესორ

ალექსანდრე პეტრეს-ძე ცაგარელის

გარდაცვალების გამო.

ე. ყიფიანი, ნ. ანთაძე, ს. მარგველაშვილი, ნ. ფირანიშვილი, ი. პოპიაშვილი, დ. მელაძე, დ. ნაკაშიძე თანაგრძნობას უცხადებენ ცაგარელების ოჯახს

პროფესორ ალექსანდრე პეტრეს-ძე ცაგარელის

გარდაცვალების გამო. 5778

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ღვალაძე, ჯაყელი, კობახიძე, ნარეშელი, დურმიშიძე, ივანოვი, გერასიმოვი, ხოფერია, ლაშხი, ბერიძე, ნაცვლიშვილი, აბდუშელიშვილი იუწყებიან პროფესორ

ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. 5779

მეზობლები: შალამბერიძე, ბახტაძე, ასლანიშვილი, გოგოლაშვილი, დიაჩენკო, ჯოხაძე, კიზიმა, ერისთავი, ასატუროვი, კიკნაველიძე, ციმაკურიძე, ანდრონიკაშვილი, გველესიანი, ჭირაქაძე ოჯახებით იუწყებიან

პროფ. ალექსანდრე ცაგარელის

გარდაცვალებას. 5790

მთავარ საავთიაქო სამმართველოს გურჯაანის განყოფილების ადმინისტრაცია მთელი ქსელის თანამშრომლებით იუწყებიან ველისციხის აფთიაქის გამგის

გიორგი მიხეილის-ძე ბეჟანოვის

გარდაცვალებას. 5789

მშობლები მინადორა, ივანე, ძმები მიშა, ბაგრატ ცოლშვილით, დები ნათელა, ვენერა თევზაძეები, იუწყებიან

თამარ ივანეს-ასულ თევზაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის I საავადმყოფოდან 26/III 5 ს. 5784

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვებების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული № 1481